

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25
2025 წლის 24 დეკემბერი

ქ. თერჯოლა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 91-ე მუხლის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლი მე-2 ნაწილის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით, საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილება (ვებგვერდი <https://matsne.gov.ge>, სსმ, 4/12/2024 სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.126.016449)

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სოსო ჩაფიჩაძე

თავი I

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	32 479,0	37 113,7	25 057,2	12 056,5	23 263,8	22 900,0	363,8
გადასახადები	17 163,4	19 134,1	19 134,1	-	20 706,6	20 706,6	-
გრანტები	13 439,1	14 556,5	2 500,0	12 056,5	363,8	-	363,8
სხვა შემოსავლები	1 876,5	3 423,1	3 423,1	-	2 193,4	2 193,4	-
II. ხარჯები	23 301,2	25 971,4	23 611,3	2 360,1	23 104,8	22 741,0	363,8
შრომის ანაზღაურება	3 530,5	3 972,3	3 939,3	33,0	3 850,0	3 850,0	-
საქონელი და მომსახურება	4 157,5	4 507,7	2 716,8	1 790,9	2 485,7	2 485,7	-
პროცენტი	11,4	6,3	6,3	-	11,0	11,0	-



სუბსიდიები	12 533,6	15 039,4	14 794,9	244,5	14 692,8	14 379,0	313,8
გრანტები	22,0	21,4	21,4	-	35,0	35,0	-
სოციალური უზრუნველყოფა	1 534,3	1 400,6	1 378,1	22,5	1 325,0	1 275,0	50,0
სხვა ხარჯები	1 511,9	1 023,7	754,5	269,2	705,3	705,3	-
III. საოპერაციო საღდო	9 177,8	11 142,3	1 445,9	9 696,4	159,0	159,0	-
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	11 755,5	11 312,3	1 506,9	9 805,4	130,0	130,0	-
ზრდა	12 260,0	11 852,3	2 046,9	9 805,4	480,0	480,0	-
კლება	504,5	540,0	540,0		350,0	350,0	
V. მთლიანი საღდო	- 2 577,7	- 170,0	- 61,0	- 109,0	29,0	29,0	-
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 2 635,7	- 228,0	- 119,0	- 109,0	-	-	-
ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-			-		
სესხები	-	-			-		
აქციები და სხვა კაპიტალი	-	-			-		
კლება	2 635,7	228,0	119,0	109,0	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	2 635,7	228,0	119,0	109,0	-	-	-
სესხები	-	-			-		
აქციები და სხვა კაპიტალი	-	-			-		
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 58,0	- 58,0	- 58,0	-	- 29,0	- 29,0	-
ზრდა	-	-	-	-	-	-	-
საშინაო	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-	-			-		
სხვა	-	-			-		
საგარეო	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-	-			-		
სხვა	-	-			-		
კლება	58,0	58,0	58,0	-	29,0	29,0	-
საშინაო	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-	-			-		
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-			-		



საგარეო	58,0	58,0	58,0	-	29,0	29,0	-
სესხები	58,0	58,0	58,0	-	29,0	29,0	-
სხვა	-	-			-		
VIII. ბალანსი	-	-	0,0	0,0	-	-	-

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	32 983,5	37 653,7	25 597,2	12 056,5	23 613,8	23 250,0	363,8
შემოსავლები	32 479,0	37 113,7	25 057,2	12 056,5	23 263,8	22 900,0	363,8
არაფინანსური აქტივების კლება	504,5	540,0	540,0		350,0	350,0	
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-			-		
ვალდებულებების ზრდა	-	-			-		
გადასახდელები	35 619,2	37 881,7	25 716,2	12 165,5	23 613,8	23 250,0	363,8
ხარჯები	23 301,2	25 971,4	23 611,3	2 360,1	23 104,8	22 741,0	363,8
არაფინანსური აქტივების ზრდა	12 260,0	11 852,3	2 046,9	9 805,4	480,0	480,0	-
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-			-		
ვალდებულებების კლება	58,0	58,0	58,0	-	29,0	29,0	-
ნაშთის ცვლილება	- 2 635,7	- 228,0	- 119,0	- 109,0	-	-	-

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები
ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 23263,8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები

შემოსავლები	32 479,0	37 113,7	25 057,2	12 056,5	23 263,8	22 900,0	363,8
გადასახადები	17 163,4	19 134,1	19 134,1	-	20 706,6	20 706,6	
გრანტები	13 439,1	14 556,5	2 500,0	12 056,5	363,8	-	363,8
სხვა შემოსავლები	1 876,5	3 423,1	3 423,1		2 193,4	2 193,4	

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები
ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 20706.6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა			2026 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	17 163,4	19 134,1	19 134,1	-	20 706,6	20 706,6	-
საშემოსავლო გადასახადი	-	-			-		
დამატებითი ღირებულების გადასახადი	14 361,7	16 434,1	16 434,1		17 706,6	17 706,6	
ქონების გადასახადი	2 801,7	2 700,0	2 700,0		3 000,0	3 000,0	
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2 226,8	2 190,0	2 190,0		2 490,0	2 490,0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	31,3	-			-		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	59,5	40,0	40,0		40,0	40,0	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	108,7	110,0	110,0		100,0	100,0	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	375,4	360,0	360,0		370,0	370,0	

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები
ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 363.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
გრანტები	13 439,1	14 556,5	363,8
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	13 439,1	14 556,5	363,8
სპეციალური ტრანსფერი (ფინანსური დახმარება)	1 050,0	2 500,0	



მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	1 820,7	1 968,7	363,8
კაპიტალური ტრანსფერი	9 388,4	7 800,6	-
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის	8 698,4	6 297,4	
სკოლების სარეაბილიტაციო ღონისძიებები		813,2	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	690,0	690,0	
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის:	1 180,0	2 287,2	-
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	1 180,0	2 287,2	

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 2193.4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1 876,5	3 423,1	2 193,4
შემოსავლები საკუთრებიდან	801,0	770,0	540,0
პროცენტი	187,1	170,0	120,0
რენტა	613,9	600,0	420,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	166,1	240,3	323,4
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	155,8	225,0	313,4
სანებართვო მოსაკრებელი	17,5	25,0	13,4
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,1		
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი			
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	138,1	200,0	300,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,1		
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	10,3	15,3	10,0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	878,0	2 397,8	1 320,0
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	31,4	15,0	10,0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 23104.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
--	-----------------	-----------------	-----------------



დასახელება			მათ შორის			მათ შორის	
		სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	23 301,2	25 971,4	23 611,3	2 360,1	23 104,8	22 741,0	363,8
შრომის ანაზღაურება	3 530,5	3 972,3	3 939,3	33,0	3 850,0	3 850,0	-
საქონელი და მომსახურება	4 157,5	4 507,7	2 716,8	1 790,9	2 485,7	2 485,7	-
პროცენტები	11,4	6,3	6,3	-	11,0	11,0	-
სუბსიდიები	12 533,6	15 039,4	14 794,9	244,5	14 692,8	14 379,0	313,8
გრანტი	22,0	21,4	21,4	-	35,0	35,0	-
სოციალური უზრუნველყოფა	1 534,3	1 400,6	1 378,1	22,5	1 325,0	1 275,0	50,0
სხვა ხარჯები	1 511,9	1 023,7	754,5	269,2	705,3	705,3	-

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 130.0 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 480.0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 350.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	45,1	28,0	30,0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	45,1	28,0	30,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	11 536,6	11 162,5	450,0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	8 589,4	8 524,3	280,0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	223,6	-	-
02 03	გარე განათება	7,2	14,7	10,0
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 780,9	1 322,2	10,0
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	632,7	958,3	-
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	302,8	343,0	150,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	446,3	80,0	-
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	446,3	80,0	-
04 00	განათლება	151,8	499,3	-
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	150,1	8,0	-
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	-	-	-
04 03	საშუალო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	-	489,3	-



04 04	სკოლისგარეშე განათლება	1,7	2,0	-
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	73,2	37,5	-
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	13,9	10,0	-
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	59,3	27,5	-
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	7,0	45,0	-
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	7,0	45,0	-
06 02	სოციალური პროგრამები	-	-	-
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	12 260,0	11 852,3	480,0

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	504,5	540,0	350,0
ძირითადი აქტივები	129,3	70,0	100,0
მატერიალური მარაგები	1,3		
არაწარმოებული აქტივები	373,9	470,0	250,0
მიწა	373,9	470,0	250,0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 945,5	5 680,5	5 699,0
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 876,1	5 616,2	5 659,0
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 876,1	5 415,2	5 558,0
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	201,0	101,0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	69,4	64,3	40,0
7.2	თავდაცვა	-	-	-
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	-	-	-
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	8 971,0	8 854,3	280,0



7.4.5	ტრანსპორტი	8 971,0	8 854,3	280,0
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	8 971,0	8 854,3	280,0
7.5	გარემოს დაცვა	4 207,9	4 330,0	3 800,0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	4 207,9	4 330,0	3 800,0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	4 805,1	4 026,7	1 180,0
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 667,2	1 790,8	100,0
7.6.3	წყალმომარაგება	571,5	420,0	420,0
7.6.4	გარე განათება	462,6	499,7	500,0
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1 103,8	1 316,2	160,0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	200,4	289,5	313,8
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	200,4	289,5	313,8
7.7.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	-	-	-
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 763,7	3 390,5	3 267,0
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 026,8	1 255,0	1 192,0
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	1 520,0	1 954,3	1 920,0
7.8.3	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	75,0	81,2	75,0
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	141,9	100,0	80,0
7.9	განათლება	7 670,5	9 544,6	7 374,0
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	5 739,5	6 826,0	6 854,0
7.9.2	ზოგადი განათლება	1 931,0	2 718,6	520,0
7.9.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	1 931,0	2 718,6	520,0
7.10	სოციალური დაცვა	2 055,1	1 765,6	1 700,0
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	2 055,1	1 765,6	1 700,0
	სულ	35 619,2	37 881,7	23 613,8

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვროს 159,0 ათასი ლარით, ხოლო მთლიანი სალდო 29.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	9 177,8	10 603,1	159,0



მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება
 ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 0.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 2 635,7	- 228,0	-
ზრდა	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	-	-
კლება	2 635,7	228,0	-
ვალუტა და დეპოზიტი	2 635,7	228,0	-

ფინანსური აქტივების ზრდა განსაზღვრულია 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

ფინანსური აქტივების კლება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს – 29.0 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2016 წელს მიღებული სესხის დაფარვას.

თავი II

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1460,0 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები /ქვეპროგრამები/ და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	1460,0
02 01	გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი	280,0
02 02	წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	420,0
02 03	გარე განათება	500,0
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	100,0
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	10,0
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	150,0



1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, აღდგენა-რეაბილიტაცია, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება, გზების კაპიტალური შეკეთება. კერძოდ: მოხრეშვა-მოშანდაგება, ნაწილობრივ ასფალტო-ფენილის გზების დაგება, არსებული ხიდების შეკეთება და რეაბილიტაცია.

პრიორიტეტი კავშირშია მდგრადი განვითარების მე-3, მე-6, მე-9, მე-11 და მე-16 მიზნებთან.

1.1 გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი (პროგრამული კოდი 02 01)

აღწერა: საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა - რეაბილიტაციას (ე.წ. ორმული შეკეთება); არასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაგებას; სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა.

მიზანი: მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა გზების, ქუჩების, სანიაღვრე არხების, საყრდენი კედლების, ბოგირების, ხიდების რეაბილიტაცია, გზების ორმული დამუშავება. მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება, ტურიზმის ხელშეწყობა.

1.2 წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02)

აღწერა: ქალაქ თერჯოლის გარდა 18 ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდა და დაზიანების აღმოფხვრა. რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში შეძენილია წყლის ტუმბო. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:

- მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა;
- ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება საჭიროების შესაბამისად.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სისტემის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

მიზანი: წყლის სისტემის აღდგენა შეკეთება, პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა დროულად.

1.3 გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 03)

აღწერა: დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში, სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. თერჯოლაში და 18 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 50%. გარე განათების სისტემა მოიცავს 5995-ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 5400 ზე მეტ სანათ წერტილს, 6700 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების ძირითადი ნაწილი ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას.

გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის, როგორც კაპიტალური



/ინფრასტრუქტურული/ ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას).

ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.

2026 წლის ბიუტიდან ასიგნებები გამოყოფილია, მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.

მიზანი: პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათების ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს, ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.

1.4 კომუნალური მეურნეობის განვითარება (პროგრამული კოდი 02 04)

აღწერა: მუნიციპალიტეტის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ობიექტების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და შენობების სახურავების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ადმინისტრაციული სხვადასხვა დანიშნულების შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული შემდგომი დაზიანებები და დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.

მიზანი: მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება, კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების მდგომარეობის გაუმჯობესება.

1.5 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 05)

აღწერა: სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები: სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის: ჭაბურღილები, წყალსადენები, ჭა, და ა.შ გაწმენდებით, წყაროების მოპირკეთება, სარწყავი სისტემების, სანიაღვრე არხების, ნაპირსამაგრი სამუშაოები. გზები; გზისპირა მოსაცდელეები, ცხაურები, ხიდები, ხიდბოგირები, გადასასვლელები, გარე განათება; სკოლების მიმდინარე ტერიტორიების კეთილმოწყობა: სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი; ამბულატორიის შენობები; სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი; სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით; წისქვილის რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი.

მიზანი: გზების კაპიტალური შეკეთება, მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება.

1.6 საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (პროგრამული კოდი 02 06)

აღწერა: საამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება



მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ათას ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.

მიზანი:ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს).

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 01)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3800.0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები/ ქვეპროგრამები/ და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3800,0
03 01	დასუფთავება და კეთილმოწყობა	3800,0

პრიორიტეტი კავშირშია მდგრადი განვითარების მე-11 მიზანთან.

2.1 დასუფთავება და კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01)

აღწერა: ქუჩების, მოედნების, სკვერების, შენობების საზოგადოებრივი ადგილების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების შეგროვება, გაუვნებელყოფა -განთავსების ადგილზე ტრანსპორტირება. ქუჩების, სკვერების და პარკების მოვლა- პატრონობა და გამწვანება, გარე განათების მოწყობა, მოვლა-პატრონობა და რეგულირება.სანიაღვრე არხების მოწყობა და სრულფასოვნად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიის, ტროტუარების, კომუნიკაციების, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის, შეკეთების და ექსპლოატაციის უზრუნველყოფა,საუბნო გზების მოწყობა ინერტული მასალით, ბოგირების, ცხაურების მოწყობა, მოვლა- პატრონობა.წყლის მომარაგების/ ტექნიკური წყალი/ სისტემის შეკეთებითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება-მშენებლობა, ზამთრის სეზონზე ქუჩების და ტროტუარების თოვლის საფარისაგან გაწმენდა.

მიზანი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სუფთა მოწესრიგებული გარემოს შექმნა, მოწესრიგებული დასუფთავებული ტერიტორია, მუნიციპალიტეტის იერ- სახის გაუმჯობესება, გარე განათების გამართული ქსელი.

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 7374.0 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები/ ქვეპროგრამები/ და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში



პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
04 00	განათლება	7374,0
04 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა	6854,0
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	254,0
04 01 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	6600,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	0,0
04 03	საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	0,0
04 04	სკოლისგარეშე განათლება	520,0

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ აღზრდას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების გამართული ფუნქციონირება, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა, სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში ხელი შეეწყობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე განათლების დონის ამაღლებას.

პრიორიტეტი კავშირშია მდგრადი განვითარების მე-4, მე-9 და მე-11 მიზნებთან.

3.1 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 04 01 01)

აღწერა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს, სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.

მიზანია: თერჯოლის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.

3.2. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (პროგრამული კოდი 04 01 02)

აღწერა: მუნიციპალიტეტში სულ 1500 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 26 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 1300 ბავშვის სწავლება, ხოლო 200 ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით. ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“ მოიცავს ცენტრის 26 საბავშვო ბავშვ-ბაღს; სადაც ფუნქციონირებს 54 სააღმზრდელო ჯგუფი, 565 თანამშრომლით. მათ შორის: 94 აღმზრდელია და 115 აღმზრდელის თანამემწე. სააღმზრდელო



ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად 2026 წელში გრძელდება სკოლამდელი აღზრდის სფეროში დახვეწილი მართვის პოლიტიკის განხორციელება, რაც გულისხმობს სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი პროგრამების და სწავლების მეთოდების შესწავლა-დახვეწას: მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით, ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) მოწესრიგება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ღონის ამაღლება.

მიზანია: ჰარმონიულად განვითარებული და დაწყებითი საფეხურის პირველი კლასისათვის მომზადებული ბავშვები.

3.3 სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 02)

აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ახალი ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.

მიზანია: რეაბილიტირებული საბავშვო ბაღები, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

3.4. საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 04 03)

აღწერა: ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

მიზანია: პროგრამის განხორციელების მიზანია სკოლის მოსწავლეების დროული და უსაფრთხო გადაადგილება.

3.5 სკოლისგარეშე განათლება (პროგრამული კოდი 04 04)

აღწერა: ა(ა)იპ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი, არის არაფორმალური სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ემსახურება 6-21 წლამდე მოსწავლე-ახალგაზრდობას, რომლის ფუნდამენტური პრინციპია ნებაყოფლობითობა და ხელმისაწვდომობა, რაც სათანადო პირობების შესაბამისი სტრატეგიული, პერსპექტიული გეგმებით, პროგრამებით და ქვეპროგრამებით ხორციელდება, პროგრამული ბიუჯეტიდან გამომდინარე 2024-25 სასწავლო წელს „ცენტრში“ მუშაობს 4 ქვეპროგრამა, რომელშიც გაერთიანებულია 26 კლუბი და წრე. სასწავლო წლის პროგრამული ბიუჯეტი დაგეგმილი და ორიენტირებულია „ცენტრში“ მოსწავლეთა ჩართულობის 20 % ზრდასა და მუშაობის ხარისხის კოეფიციენტის ამაღლებაზე, რასაც „ცენტრი“ წარმატებით ართმევს თავს, მოსწავლეთა რაოდენობა-720, აქედან გოგო 420 და 306 ბიჭი. სასწავლო-შემოქმედებით მუშაობაში ჩართულობა გაიზარდა 20%-ით. შეფასდა ხარისხის მაჩვენებელი, სასწავლო პროცესში შესაბამისი ინდიკატორებით ცალკეულ კლუბებსა და წრეებში, რაც აისახა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე „ცენტრის“ მუშაობის შეფასებისას, რომელსაც საფუძვლად დაედო კოორდინატორთა, მენეჯერთა, მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშები, შეფასებები. მოსწავლეთა აქტიური, წარმატებული მუშაობა შესაბამისად აისახა სტატისტიკაშიც. წლის განმავლობაში მოსწავლეთა ცენტრში დიპლომებით და სიგელებით 160, ხოლო ფასიანი საჩუქრებით (წიგნები) დაჯილდოვდა 28 მოსწავლე.

მიზანი: თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, მოსწავლეთათვის საინტერესო, სასწავლო-შემეცნებითი და გასართობი ატმოსფეროს შექმნა, პროგრამების, აქტივობების, ღონისძიებების განხორციელებაში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა, მათი უნარების, შემოქმედებითი ნიჭის, პოტენციალის რეალიზებისათვის სათანადო გარემოს შექმნა, ინციატივების, წამოწყებების მხარდაჭერა. საბაზისო ცოდნის მიწოდება და საზოგადოებაში ინტეგრირების, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის



დამკვიდრების ხელშეწყობა.

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3267.0 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები/ ქვეპროგრამები/ და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3267,0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1192,0
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	42,0
05 01 02	სპორტული სკოლა	1150,0
05 02	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1920,0
05 02 01	სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	380,0
05 02 02	სახელოვნებო სკოლები	450,0
05 02 03	ბიბლიოთეკები	320,0
05 02 04	კულტურის სახლები	645,0
05 02 05	მუზეუმები	125,0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	40,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40,0
05 05	საგამომცემლო საქმიანობა	75

პრიორიტეტი კავშირშია მდგრადი განვითარების მე-11 და მე-16 მიზნებთან.

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად, აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. სხვადასხვა ღონისძიებებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართვა.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით, გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

4.1. სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, ფულადი და ფასიანი საჩუქრებით წახალისება; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივ სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი



სპორტსმენების დაჯილდოება.

დაჯილდოვდება წარმატებული სპორტსმენი და წარმატებული მწვრთნელი, წარმატებული ახალგაზრდები.

მიზანი: პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივ სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება.

4.2. სპორტული სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 02)

აღწერა: სპორტული ცენტრი აერთიანებს 13 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (54 ბავშვი);სამბო(33 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (10 ბავშვი); თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (44 ბავშვი); ძიუდო(40 ბავშვი); ტანვარჯიში (34 ბავშვი);უშუ(11 ბავშვი);კინგბოქსი(13 ბავშვი); კარატე (14 ბავშვი); ხრიდოლი (17 ბავშვი); ჭადრაკი (78 ბავშვი); კალათბურთი (22 ბავშვი). სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 370 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთ.

მიზანი: სპორტული გუნდების შევსება ახალგაზრდა სპორტსმენებით; აღსაზრდელთა ჩართულობის ზრდა სპორტულ ცხოვრებაში; აღსაზრდელთა სპორტული მიღწევების ზრდა; სხვადასხვა სპორტის სახეობებში ტალანტების გამოვლენა; სპორტის სხვადასხვა სახეობების ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა.

